

თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევის მცდელობა

**საქართველოს უზენაესი სასამართლო**

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№168-აპ 25 ნოემბერი, 2002 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ

შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე:	ლადო ჭანტურია
მოსამართლეები:	ვალერი ხრუსტალი, მერაბ ტურავა, ბადრი მეტრეველი, მურმან ისაევი, მიხეილ გოგიშვილი, ირაკლი ბიბილაშვილი, როზა ნადირიანი, მადონა გოგელია,

სხდომის მდივანი — მეგი ზოსროშვილი

სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროკურორი — პ. მ.-ა, ა. ხ.-ი

ადვოკატი — მ. ა.-ე

განიხილა პროკურორ ს. ბ.-ის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 6 სექტემბრის განაჩენზე, რომლითაც ზ. უ.-ლი, - დაბადებული ..... წელს ქალაქ .....ში, ქართველი, .....განათლებით, ცოლშვილიანი, წარსულში ოთხჯერ ნასამართლევი, - გამართლებულ იქნა სსკ-ის 19, 379-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

## ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

საბრალდებო დასკვნით ზ. უ.-ს ბრალად ედებოდა შემდეგი დანაშაულის ჩადენა: იგი ბოლოს გასამართლებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ და 1995 წლის 8 მარტის განაჩენით სსკ-ის 203-ე მუხლის მეორე ნაწილით, 78-ე მუხლით, 104-ე მუხლის პირველი და მეოთხე პუნქტებით (1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი) ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი პქონდა თავისუფლების აღკვეთა 15 წლით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით. 2001 წლის 12 მაისს ზ. უ.-ლი, დარჩენილი სასჯელის მოხდის მიზნით, თბილისის №1 საპურობილიდან გადაყვანილ იქნა რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც მარტო ცხოვრობდა ბარაქზე მიშენებულ ერთსართულიან ოთახში. სასჯელის მოხდისაგან თავის არიდების მიზნით გადაწყვიტა რა კოლონიიდან გაქცევა, მან სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე შეიძინა რკინისტარიანი აქანდაზი, 40 სმ სიგრძის წაწვეტებული რკინის ნაჭერი, თოკი, მოკლეტარიანი თოხი და თავისი ოთახის საწოლის ქვეშ დაიწყო მიწისქვეშა გვირაბის გათხრა საწარმოო ზონის მიმართულებით. ზ. უ.-ლმა გათხარა 1,5 მ სიმაღლისა და 4 მ სიგრძის გვირაბი, რაც 2001 წლის 3 ოქტომბერს აღმოაჩინეს დაწესებულების თანამშრომლებმა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 22 მარტის განაჩენით ზ. უ.-ლი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 19,379-ე მუხლის პირველი ნაწილით შერაცხულ ბრალდებაში.

აღნიშნული განაჩენი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2002 წლის 8 ივნისის განაჩენით დატოვებულ იქნა უცვლელად.

სახელმწიფო ბრალდებელი, პროკურორი ს. ბ.-ნი საკასაციო საჩივარში ითხოვს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების გამამართლებელი განაჩენების გაუქმებასა და ზ. უ.-ლის ბრალდების საქმის ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაბრუნებას.

პროკურორი თავის პოზიციას ასაბუთებს შემდეგი მოსაზრებებით: არასწორია სასამართლოს მოსაზრება, რომ თითქოს ადგილი პქონდა პატიმრობის ადგილიდან გაქცევის მომზადებას, ანუ ისეთი დანაშაულის მომზადებას, რომელიც, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს.

პროკურორი თვლის, რომ სახეზეა დანაშაულის მცდელობა – განზრახი ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

პროკურორი პ. მ.-ვა მხარს უჭერს საკასაციო საჩივარს.

ადვოკატი მ. ა.-ძე მიიჩნევს რა გამამართლებულ განაჩენს კანონიერად, ითხოვს მის უცვლელად დატოვებას.

## ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

დიდმა პალატამ გამოიკვლია საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განაჩენი მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ ზ. უ.-ლის ქმედება არის თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევისათვის პირობების განზრახ შექმნა, ანუ დანაშაულის მომზადება და თვლის, რომ რომ სახეზეა გაქცევის მცდელობა.

მართალია, როგორც მომზადება, ასევე მცდელობა დაუმთავრებელი დანაშაულია, მაგრამ მათ შორის არის განსხვავება განზრახვის აღსრულების ინტენსივობის თვალსაზრისით: თუ მომზადება მხოლოდ პირობების შექმნას გულისხმობს, მცდელობა უშუალოდაა მიმართული შედეგის განხორციელებისაკენ, რასაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

საქმის მასალების მიხედვით, ზ. უ.-ლმა 4 მეტრი სიგრძისა და 1,5 მეტრი სიმაღლის გვირაბი გათხარა თავისი სამყოფლის (ბარაკის გვერდით მდებარე ოთახი) ქვეშ.

ამრიგად, ზ. უ.-ლმა განზრახვის მხოლოდ ნაწილობრივი რეალიზაცია მოახდინა (დაიწყო გვირაბის გათხრა), ხოლო განზრახვის ბოლომდე განხორციელებაში კი ხელი შეუშალა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ, რომელმაც აღმოაჩინა მის მიერ ნაწილობრივ გათხრილი გვირაბი. ზ. უ.-ლი განხორციელებული ქმედების ინტენსივობით (გვირაბის ნაწილობრივი თხრა) გასცდა დანაშაულის მომზადების სტადიას და უშუალოდ გადავიდა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მომდევნო სტადიაზე – დანაშაულის მცდელობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ზ. უ.-ლმა თავისი ქმედებით არა მარტო განზრახ შექმნა პირობები დანაშაულის ჩადენისათვის, არამედ მიაღწია დაუმთავრებელი მცდელობის სტადიას, რაც, სსკ-ის მე-19 მუხლიდან გამომდინარე, დასჯად ქმედებას წარმოადგენს.

თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ გვირაბის თხრა, პატიმრობის ადგილიდან გაქცევის მიზნით, წარმოადგენს დანაშაულის მომზადებას იმ შემთხვევაში, როცა ეს მოქმედება დროში და სივრცეში იმდენად არის დაშორებული შედეგთან, რომ შედეგის მიღწევა ობიექტურად შეუძლებელია; იმ შემთხვევაში კი, როცა ასეთი შედეგის მიღწევა რეალურია, სახეზე გვაქვს დანაშაულის მცდელობა.

კონკრეტულ შემთხვევაში ზ. უ.-ლმა მხოლოდ განზრახვის ნაწილობრივი რეალიზაცია მოახერხა, ანუ დაიწყო გვირაბის თხრა, მაგრამ მის ბოლომდე გასათხრელად და მიზნის მისაღწევად – სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიის დასატოვებლად მას კიდევ დასჭირდებოდა გარკვეული ძალისხმევა დარჩენილ სამუშაოთა შესასრულებლად (8 მეტრი სიგრძის გვირაბის გათხრა, საწარმოო ზონის გადალახვა, ხოლო შემდეგ 200 მეტრი მანძილის გავლა). ამდენად, სახეზეა დაუმთავრებელი მცდელობა, მით უფრო, რომ ზ. უ.-ლს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაში ხელი შეუშალა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ, რომელმაც აღმოაჩინა მის მიერ გათხრილი გვირაბი.

ზემოაღნიშნულის გამო, პალატა ეთანხმება საკასაციო საჩივრის პოზიციას, ქმედების სამართლებრივი შეფასებას მიიჩნევს უსწოროდ, რის გამოც, გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

## ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 560-ე მუხლით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 562-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

პროცერორის საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს.  
გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა  
სააპელაციო პალატის 2002 წლის 6 სექტემბრის გამამართლებელი განაჩენი ზ. უ.-ლის  
მიმართ და საქმე ზელაზალი განხილვისათვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.